The Green
Superblock

# ვაჟა-ფშაველას №2-ე კორპუსის მაცხოვრებლების გამოკითხვის შედეგები

Funded by
VolkswagenStiftung

## შესავალი

ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში ცოცხალი ლაბორატორიის მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე ღია სივრცე, რომელსაც სარეკრეაციო ფუნქციით გარდაქმნის კარგი პოტენციალი გააჩნდა. სივრცის შერჩევას წინ უსწრებდა ისეთი აქტივობები როგორებიც იყო: გასეირნება უბანში გარემოს სპეციალისტთან ერთად, მაცხოვრებლების გამოკითხვა და მათი მოსაზრებების რუკაზე მონიშვნა თუ რომელი სივრცე მოსწონდათ, რომელი - არა და რომელი სივრცის გაუმჯობესებას ისურვებდნენ; ასევე მრგვალი მაგიდის დისკუსია, პირისპირ ინტერვიუები და მიწის საკუთრების ანალიზი.

ვაჟა-ფშაველას #2 კორპუსის მიმდებარედ არსებული სივრცის გარდაქმნის შესაძლებლობაზე პირველად ყურადღება გარემოს სპეციალისტმა, არსენ ბახიამ გაამახვილა. მისი აზრით ამ არეალს გამწვანების კარგი შესაძლებლობა ჰქონდა. საკუთრების რუკის ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მონაკვეთის დიდი ნაწილი მუნიციპალურ საკუთრებაშია, რაც პოტენციურად გარდაქმნის ხელსაყრელი პირობაა. სივრცის ზომაც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა - ის რეორგანიზაციის კარგ შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, არეალი კომპლექსურებითაც გამოირჩეოდა - ის მანქანების სტიქიურად გასაჩერებლად გამოიყენება, აქ რამდენიმე გარაჟია განთავსებული, არის გაუკაცრიელებული და მიტოვებული.

## მიზანი

მოსახლეობის გამოკითხვა მიზნად ისახავდა გაგვერკვია თუ სად აჩერებდნენ მაცხოვრებლები მანქანას, რამდენად თანახმა იქნებოდნენ სივრცის დროებით გარდაქმნაზე, რა ფუნქციებს ისურვებდნენ სივრცეში და იმ შემთხვევაში თუ მანქანას შერჩეულ ტერიტორიაზე აჩერებდნენ, იქნებოდნენ თუ არა თანახმა დროებით ის სხვა ადგილას გაეჩერებინათ.

## მეთოდოლოგია

2024 წლის ივლისის დასაწყისში მომზადდა კითხვარი. კვლევა კი 29-31 ივლისს ჩატარდა. 29 ივლისს ჩავატარეთ სამეზობლოსთან შეხვედრა, რომელის ორგანიზებაშიც კორპუსის თავჯდომარე დაგვეხმარა. ამ შეხვედრას ორი მიზანი ჰქონდა: ა) მაცხოვრებლებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია კვლევისა და ჩვენი მოსაზრებების შესახებ; ბ) მოგვესმინა მათი აზრი სივრცის დროებით გარდაქმნასთან დაკავშირებით. 29 ივლისის შეხვედრას დაახლოებით 7-8 ადამიანი ესწრებოდა. ეს ადამიანები კითხვარის მეშვეობით დამატებით გამოვკითხეთ.

30 და 31 ივლისს (სამშაბათი-ოთხშაბათი) კორპუსი კარდაკარ დავიარეთ და შევეცადეთ თითო ბინიდან თითო მაცხოვრებელი გამოგვეკითხა. გამოკითხვა დაიგეგმა საღამოს, არასამუშაო საათებში.

ვაჟა-ფშაველას #2 კორპუსი 8 სართულიანია და შედგება სამი სადარბაზოსაგან. პირველ სადარბაზოში პირველ სართულზე ორი ბინა, ხოლო დანარჩენ სართულებზე ოთხი ბინაა განლაგებული. მეორე და მესამე სადარბაზოში თითო სართულზე 3 ბინაა განაწილებული. შესაბამისად, პირველ სადარბაზოში 30, ხოლო მეორე და მესამე სადარბაზოში 24-24 ბინაა. ჯამში კორპუსი 78 ბინისგან შედგება.

## კვლევის შეზღუდვები

კვლევა ზაფხულის პერიოდში დაიგეგმა, როდესაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქალაქიდან იყო გასული. ამ გარემოებამ გამოკითხული ოჯახების რიცხვი სავარაუდოდ შეამცირა. ასევე რთული იყო იმის იდენტიფიცირება თუ რომელი ბინა იყო დაკეტილი და არვინ ცხოვრობდა მასში და რომელ ბინაში მცხოვრები ოჯახი იყო დასასვენებლად წასული. აქვე გასათვალისწინებელია, რომ შეგვხვდა შემთხვევები როდესაც ორი ბინა იყო გაერთიანებული ან ორი ბინა ერთიდაიგივე ოჯახს ეკუთვნოდა. გამოკითხვისას ასეთი სამი შემთხვევა შეგვხვდა. შესაბამისად, ჩვენი ანალიზისას ოჯახების საერთო რაოდენობად არა 78, არამედ 75 განვსაზღვრეთ.

## კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ჯამში გამოიკითხა 27 ოჯახი, რაც საერთო რაოდენობის 36% შეადგენს; გამოკითხვაზე უარი გვითხრა 5-მა ოჯახმა, რაც საერთო რაოდენობის 6.7% შეადგენს; ხოლო კარი არ გაგვიღეს 43 ბინის შემთხვევაში, რაც ოჯახების საერთო რაოდენობის 57.3% შეადგენს.

გამოკითხულთაგან კითხვაზე „გაქვთ თუ არა მანქანა ოჯახში?“ დადებითად 17-მა რესპოდენტმა უპასუხა, რაც გამოკითხული რესპოდენტების 63% შეადგენს. კითხვას უარყოფითად უპასუხა 9 რესპოდენტმა, რაც გამოკითხული რესპოდენტების 33.3% შეადგენს. ერთი რესპოდენტის შემთხვევაში პასუხი უცნობი იყო.




იმ რესპოდენტების შემთხვევაში ვინც კითხვას დადებითად უპასუხა 4-ს ჰყავდა 1 მანქანა, 7-ს - 2, 1-ს - 3. 6 რესპოდენტის შემთხვევაში პასუხი უცნობია. გამოკითხულ რესპოდენტებს შორის მანქანების საერთო რაოდენობამ 21 შეადგინა.

გამოკითხულთაგან კითხვაზე „გაქვთ თუ არა გარაჟი?“ დადებითად 8 რესპოდენტმა უპასუხა, რაც გამოკითხული რესპოდენტების 29.6% შეადგენს. კითხვას უარყოფითად უპასუხა 9 რესპოდენტმა, რაც გამოკითხული რესპოდენტების 33.3% შეადგენს. 10 რესპოდენტის შემთხვევაში პასუხი უცნობია, რაც გამოკითხულთა 37% შეადგენს. გამოკითხულთა უმრავლესობას, ვინც კითხვაზე დადებითად უპასუხა, 1 გარაჟი აქვს. ასეთი იყო 7 რესპოდენტი.




კითხვაზე „სად აჩერებთ მანქანას?“ სხვადასხვაგვარი პასუხები და პასუხების კომბინაციები შეგვხდა. როგორც გამოჩნდა რესპოდენტების დიდი ნაწილი მანქანას კორპუსის ეზოში - გარაჟში ან თავისუფალ ადგილას აჩერებს. შეგვხვდა ისეთი რესპოდენტებიც, რომლებიც ქუჩისპირა საპარკინგე ადგილებს იყენებენ. ასეთი ორი რესპოდენტი იყო. კორპუსის უკანა სივრცეს მანქანის გასაჩერებლად 2 რესპოდენტი იყენებს. თითოეულ მათგანს 2-2 მანქანა ჰყავს. აქედან ერთი მანქანის გასაჩერებლად ქუჩის პირას, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ საპარკინგე ადგილსაც იყენებს. ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე „იმ შემთხვევაში თუ კორპუსის უკანა სივრცეში დროებითი სარეკრეაციო ზონა მოეწყობა, იქნებით თუ არა თანახმა 7-10 დღის განმავლობაში მანქანა გააჩეროთ სხვა ადგილას?“ ორივე რესპოდენტმა დადებითად უპასუხა.

კითხვაზე „იქნებით თუ არა თანახმა, რომ თქვენი კორპუსის უკან, ღია ტერიტორიაზე, მოეწყოს დროებითი სარეკრეაციო სივრცე?“ დადებითად 23-მა რესპოდენტმა უპასუხა, რაც გამოკითხული რესპოდენტების 85.2% შეადგენს. 1 რესპოდენტი იყო წინააღმდეგი და თვლიდა, რომ სივრცე მხოლოდ პარკინგისთვის უნდა გამოიყოს. 1 რესპოდენტს არ ჰქონდა პოზიცია ჩამოყალიბებული; ხოლო 2 რესპოდენტის შემთხვევაში პასუხი უცნობია.

კითხვაზე, თუ „რა ფუნქციების დამატებას ისურვებდით დროებით სარეკრეაციო სივრცეში?“ მოსაზრებები გაიყო - შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა მიემხრო მხოლოდ მწვანე

ნარგავების დარგვას. მათი აზრით დასაჯდომებისა და სხვა ფუნქციების დამატება ხმაურის წყარო გახდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ბინების საძინებლები საკვლევ ტერიტორიას გადმოჰყურებს. ამასთან, გამოკითხვისას ფუნქციების საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება გამოიკვეთა სხვადასხვა კომბინაციით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ნახსენები ისურვებდნენ ბავშვების გასართობი სივრცისა და დასაჯდომების მოწყობას. რესპოდენტები ასევე ხაზს უსვამდნენ სიმწვანის აუცილებლობას.




ცხრილი №1

| სასურველი ფუნქცია | რესპოდენტების რაოდენობა |
|---|---|
| არ ისურვებს არაფერს | 1 |
| მხოლოდ სიმწვანე | 2 |
| მხოლოდ პარკინგი | 1 |
| ბავშვების გასართობი სივრცე | 8 |
| ბილიკები | 3 |
| დასაჯდომები/სკამი | 8 |
| მოსასვენებელ სივრცე | 2 |
| ძაღლის გასასეირნებელი სივრცე | 1 |
| წყლის სოკო | 1 |
| სიმწვანე | 4 |
| მრავალფეროვანი გარემო | 1 |
| სუფთა გარემო | 1 |
| არ ვიცი | 2 |
| უცნობია | 2 |